საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990133244125521

**№17/3670** **23 / სექტემბერი / 2021 წ.**

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VI“-ის
დირექტორს, მიხეილ ნიბლაძეს
მის: 0105 თბილისი, ლეონიძის ქ. #2
ტელ: +995 32 2244990

ბატონო მიხეილ,

თქვენი ა/წ 22 სექტემბრის წერილის № 09-2021 პასუხად, რომელიც ეხება მდ. ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ბახვი 1 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას და საპროექტო არეალში ჩატარებული არქეოლოგიური და ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება არცერთი ისეთი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლი, რომელიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ან წარდგენილია კანდიდატად ამ ნუსხაში გასაწევრიანებლად. საპროექტო ტერიტორიის საველე ვიზუალურმა შესწავლამ არ გამოავლინა დადასტურებული კულტურული მეკვიდრეობის ობიექტები ან მათი ნაშთები - არც ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მქონე და არც - სტატუსის გარეშე არსებული ობიექტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე | ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად | დავით ლომიტაშვილი